

სახალხო ბაზუნი

საბჭოთაო ჟურნალი

გაზეთის № 914

დამატების № 161

კვირა, 9 თებათვე 1913 წ.

გ უ რ ი ა ს

ბუღბული რომ ვყოფილიყავ,
არ დავთმობდი მე შენს ქალებს,
მაგრამ ჩანგით დაგიკოცნი
შორიდანაც ლამაზ თვალებს!
გადაგიწვივ, ტურფავ, მკლავზე,
დაგამღერებ იავნანას,
გულში ვარდად ჩაგატარებ,—
სულში, როგორც ცის მანანას!
ორ ქედ შუა ჩანასკულო,
დაფენილო მთის კალთაზე,
ხან ზეცისკენ ატყორცნილო,
ხან გაშლილო დაბლა ბარზე;
ხან მწუხარედ—ნისლ დაკრულო,
წუთის შემდეგ მოღიმარე,
მთა რომ მალლა ელვას გაჰკრავს,—
ძირს იცინის არე-მარე!



ასე იცის სატრფოს გულმაც
ხან ღელავს და ხან წყნარდება,
ხან მოსხლტება საკოცნელ ტუჩს,
ხან-კი მკერდში ჩაეკვრება!

შე კოპწია ქალთ ეთერო,
ჩანგის სიშო, ჩანგის გულო,
არწივის ფრთავ ღრუბლის თავზე,
იადონის კრიმანქულო!
ერთო ვარდო, მაგრამ ათას
ყვავილების თაიგულო,
კრემლს და სისხლზე ხელ-მეორეთ
ისევე წელში გამართულო!
ჩანგის სიმებს შემოვარტყავ
პოეტის ზღვანად მე შენ ქალებს,
საქართველოს მარგალიტო,
დაგვიკოცნი ლამაზ თვალებს!

ი. ევლოშვილი.

მარაჯოსთვის ბაღაუი

განთიადის სხივმა დარეკა სოფლად. ახმაურსიტყვდა ირ-
გვლივ ბუნება.
ძლივით აღსდგა სოფელი. ჰაერში ბაღჩის სურნელი ინთ-
ხევა.—ელიზბარის ბაღჩას დაუკოცნია ღამის ქალწული. უკვდა-
ვება ჩასახვია ტურფა წალკოტ-
ში და ხარობს იგი, ვალობს,
ჯადოსნობს.

— რა ჯადოს ხმარობს ელიზ-
ბარი, რომ მისი ბაღჩა ასე
გვხიბლავს ყველას??

— ჩვენც გვასწავლოს ეს ხერ-
ხი! წავიდეთ მასთან, ვინახუ-
ლოთ მისი ბაღჩა!

ბაღჩის ყვავილთა ფშვენა ნი-
ავს მოაქვს მსუბუქ ფრთებზე.
მდუმარე მთებიც შენძრეუ-
ლან. თავს უქნევენ ნიავსა,
გადმოსძახიან:

— ჩქარა! ჩქარა გულის ჩაგ-
ვაკარ ეგ საუცხოო ბაღჩის
ცნებანი?!

ველი, მინდორი ირყევა ფა-
ფარს მალლად იყრის, რათა
სწორს ზედაპირზე შეუჩერებ-
ლად არ გაიქროლოს ცელქმა
ნიავმა.

ელიზბარი სდგას ბაღჩის კარებთან. მისი თვალები სხივებს
აფრქვევენ.

მას არ ეხება მათათა წადილი, მინდორ ველთა რყევა,
სოფლის ჩქამი.—მზემ რა იცის მისი სხივი სად რას აცხოვე-
ლებს? სად რასა ჰკლავს?

— კვლავ გთხოვს თამარი, ჩემო ელიზბარ, ღირსიჰყო იგი
ბაღჩის ხილვისა!..

— დლით, გარდა მზის მაცხოველებელი სხივებისა და მა-
ლალ მათათა მოციქული ნიავისა, ღამით, გარდა მთვარის მო-
ალერსე უუქისა, რომელსაც იღუმალ მოაქვს ცათა წილის
ამბორი,—ვერა რა იხილავს ჩემს ბაღჩას, თამარ!!

— ვერც მე ვიხილავ მას, ელიზბარ?
— ვერც შენ!

განა არას ნიშნავს, რომ თამარს უყვარს ელიზბარი? რა
ყოფილა სიყვარული, თუ, გულის საიდუმლოვებათ არ ამხელს
იგი? თამარმა ხომ გადაუშალა გული ელიზბარს! არა დაზოგა
თამარმა და ყოველი მისცა ელიზბარს, რის მიცემა შეეძლო.
ქაბუკური ოცნებანი ელიზბარს შეაღია მან, ნორჩის და ქალ-
წულის შევნებანი არ დაიშურა მან...

მომიტევენ თუ ცოდ-ვა ა
თინი ქალებში. ამ დროს:
მხარეს მიდგებიან. შევა, ეს
უკან ცეცხლის ალთან, ვით
ხმით წარმოთქვავს) ღმერთ
ლი და იკმარე ჩემით მსხვერ
სინათლე ცნობიერებისა, რა
ლი... ვანელი აქ ზორვად შე
მეფე. ო! ეს ხმა... შეაჩ
მეფარმაზ. (რა იტყვის,
ილე სული ნანასი...

იგინივე,
გაგელ. მეფე?—ნუ თუ.
იასე. (ხალხში ქვითინი
გაისმის. შემოიჭრება იასე) ს

გიორგი სააკაძე—ბრძოლის მოლოდინში.
ნახატი ვალ. ხილმონ-ერისთავისა.

ალი მოსდო ბაღჩის უმანკო ტანს და ათასნაირად ააფერადა
იგი. ლაქვარდმა შეაწოვა ბაღჩას უხვი ძუძუ თვისი და მთვა-
რემ შუქით ნაქსოვს მქრთალს საცმელში შემოსა იგი!.. მისი
კარები დახშულია, თამარ!

რომ მოსწყდეს გამთენებელი ვარსკვლავი ცის წილის და
ჩაინთქას უძირ-უკედლო უფსკრულში, განთიადი არ გაშლის
განა მაშინ ფრთას და იმ ცის კიდურიდან, რომელიც დასწო-
ლია ბუმბერაზ მთის მწვერვალს, არ გადმოფრინდება გასანა-
თებლად დედა-მიწისა??

— საშინელებას ჩავიდენ, ელიზბარ!
— უმუხთლებ შენს ღმერთს, თამარ!!

— შური მიტანს, ელიზბარ! არ ვენდობი შენს თავს ბაღ-
ჩას,—შენ ჩემი ხარ!!

სურათად.
ვრებიდან.
ში, მეორე საუკუნეში).
ს ა მ მ.
მეორე სურათია.
ელ, ამალა.
ებით შემოდიან: ქალები პირ-
ა ხელით პირველ კერპს ძი-
კილის დასაჭერად: ასევე მა-
ერპს ხელით მუხლს ეხებიან
გებიან. მოისმის დაფა-ნალა-
; „მეფე მობძანდება!“ ყვე-
ახავენ, თავი დაზრიან. მეფე
ხსდევს ამალა; მივა იგი წინა
მოინ. მალა კარებთან

Handwritten signatures and notes at the bottom of the page.

არჩილ ჯორჯაძის დასაფლავება



ვერის დაღმართზე.

— მომიახლოვდი, თამარ!

ბაღა მათ ყვავილთ გადააბნეგს. ნიავე ამეტყველდება. თამარს ესმის ბაღის ბიბინი!.. ბედნიერების კარზეა თამარი!..

— მაშ, გააღე ბაღის კარი, ჩემო ელიზბარ!! ეხლა მეც შევალ!

— არასოდეს, თამარ!

შესდგა თამარი... ჩქარის შეხედვით ისარი სტყორცნა ელიზბარს.—ნათელის ცის უბოლოზე ღრუბლები მოგროვდნენ. ელვა მოსწყდა ცას!—

— შენ რა იცი, რომ არასოდეს?!

— საიდუმლოების გამომჟღავნება-საიდუმლოების სამარეა! ბაღის საკურთხეველს სხვისი ხელი მხოლოდ დასამსხვრევად შეეხება!

— მე დავამსხვრევ მაგ საკურთხეველს ღამეს ჩვენმა კეთილმა

— შენ მხოლოდ დაამსხვრევი!!

— როდის იყო, რომ დღემ არ

— როდის იყო, რომ ღამემ არ

— ელიზბარ! ელიზბარ!!

— მე კი ტანს შევასხამ უხილ

უსახოთ, არსთა მალულთ და იღუღში... იხატვიან სახენი და ჩემს ბაღში თვის-და განსახორციელებლად!!

სთანხმდებოდა... მაგრამ მე-მიუვალაია, ვით პირველ მომქმედებ

არსებული, ვით სურნელი ვარდთ

იგი ჩემს სულთან შეზავებულია, გრამა ბძანა: „დაე ღმერთმა

ძგერა გულისა სიცოცხლესთან!!!“

ელიზბარი შედის ბაღში. არამაზის წინა ბევრი ილოცა

ბარის სიტყვები კიდე ესმის მას. რი დაჰღვარა...

თამარი თრთის, ვით უკანასკნელ

ფითრდება, ვით ქალწულის სახე მიცვალეს...

წამში.

თამარს რომ ცრემლი სდის,—შემომქმედი დასტირის თავის უმშვენიერესის ქანდაკების ნაკლულოვანებას!!

თამარი რომ მოსთქვამს,—შემომქმედი ღალადებს განსრულების გზასა და კვალზე!..

შორს გაისმის ბაღის ღიღებ. კილით-კიდე საკმელს უკმევენ ელიზბარს.

ღამის წილის იღუმალი ცნებანი უხვად ეფრქვევიან ბაღის წალკოტსა. ელიზბარი ხარბათ ჰკრეფს უკვდავების წვეთ-მარგალიტებს...

თამარი კი სდუმს..

ცის კიღურს მოსწყდა ღვთის ძვალი, უფსკრულს ჩაეშვა. შეძრწუნდა თამარი!

— ჰაუ, ელიზბარ!!

— არა!

.....

ჯოჯოხეთის ცეცხლი გუზგუზებს... მარადისობის ბაღის საკურთხეველზე მიიმედ დაერთხა შავი ბოლი!!

— ხა, ხა, ხა...

.....

ზნელი გარესკნელი ფრთებს გაშლის ქვეყნად.

.....

აღსრულდა!!

ლეო ქიაჩელი.

მას უყვარდა...

(ნაწევები მოემიდან)

არ იჩენდა, თუმც კვდებოდა, არ იჩენდა, თუმც ბნდებოდა, მაგრამ მისი სიყვარული სამარეს თან მიჰყვებოდა; ვარდი სხვისთვის იშლებოდა, მის ყვავილი მით სქვენებოდა; ანდამატის შუბის წვერსა გული ოხვრით აღნებოდა.

„ვაჰმე!—იტყვის—რისთვის არის ეს სოფელი შესაზარი: რაც არ გიყვარს ჩვენს ახლოა, რასაც ვეტრფით ის შორს არი; რისთვის შექმნა შემოქმედმა ეს ქვეყანა სანუკარი, ნუ თუ იმად, რომ ისმოდეს მარად ტანჯვა-გლოვის ზარი“?!

ღიან, იგი მას უყვარდა... ოცნებით გარს ევლებოდა, ხშირად ტყე-ღრე, ვითა ხელი, უკუმეთში მარტო რბოდა; მის შემყურე მთვარეს უუქი სიბრალულით ჩაჰქრობოდა, ვარდსა ფერი დაჰკარგოდა, ხეხილს რტონი დასქნობოდა.

ვის ვადარო მისი სატრფო,—ნუ თუ ამომავალ მზესა?! სადაც წავა თან წაიღებს სიხარულს და სიცოცხლესა; მის გულით არ აღმომხდარა ჯერ არც ვაი და არც კენესა; ამა ქვეყნად ედემს ჰხედავს და იმ ქვეყნად სამოთხესა!..

ლაწვები აქვს ბროლ-ბადახშის, კბილნი ამარტს დავადარე; შურით უმზერს ყოველი არსი, მოკლული და გულ-მდუღარე; ბაგე ლალი თრთის, ციმციმებს, მისით ნათობს მზე და მთვარე; ეთერშია ანაზარდი არღვანი მოელვარე.

და იგი კი მას უყვარდა, გლეხს, თავადის ტურფა ქალი, სამოთხის და ჯოჯოხეთის შემჯაჭველი დედოფალი;

იასე. მაშ... კვდარსა მარად მისკენ ეპყრა თვალი... მნათე. აი, ზორვასიდა ცეცხლი გულს ჩაუმქარალი!.. მაგიერობაც მისთვის იკის გლეხი, თავად-ანაური,

იასე. რომ მე... ის გარეშე თუ შინაური;

ნანა. მე შენ გადამჩად ძალა მისი უცნაური...

იასე. ზორვას უმანკავ დარჩა საცნაურთა-საცნაური... რულ სულით?!.. და შენ

ნანა. შენთვის, ჩემ... ოცნებით გარს ევლებოდა,

იასე. ჩემთვის?!.. ახელი, უკუმეთში მარტო რბოდა; თვის...

ნანა. იასე... უქი სიბრალულით ჩაჰქრობოდა,

იასე. ერთხელ მაინც, ხეხილს რტონი დასქნობოდა!..

ბ. ანოსპირელი.

არჩილ ჯორჯაძის დასაფლავება



დიღუბის ეკლესია ხალხის დაშლის შემდეგ.

არჩილ ჯორჯაძის დასაფლავება



დიღუბის ეკლესიის გალავანში.

უკანასკნელი ლექსი

ღამის წყვილიაღმით სთვლემენ მწვერვალნი,
არ აკრთობს სუნთქვა დაბურთულ ტყესა,
აღარ სად სჩანან გზად მიმავალნი,
აღარც სად ისმის წუხილი, კვნესა.
ამ ქვეყნიური ალიაქოთი
მთების გადაღმა თან ჩაჰყვა მზესა:
უკანასკნელი ლექსი-ლა უთხრა
ანცმა ტოროლამ მიწიურ ღღესა...

ი. მჭედლიშვილი.



ფ ღ რ მ ე ლ

ღრამა-ზღაპარი 3 მოქმ. 6 სურათად.

კერპთა ქურუმთა ცხოვრებიდან.

(მოქმედება სწარმოებს არმაზის მთის მიდამოში, მეორე საუკუნეში).

(დასასრული *)

მ ღ მ მ დ მ გ ა მ მ ს ა მ მ.

მეორე სურათი.

იგივე, რაც პირველ მოქმედებას მეორე სურათია.

1.

მლოცველნი, მეფე, გაგელ, ამაღა.

თითბრის სინის რაკუნი; მლოცველები მოწიწებით შემოდინან: ქალები პირ-
ახვეულები ქვითინით ძირს ემხობიან, მარჯვენა ხელით პირველ კერპს ძი-
რიდან ეხებებიან და მიდიან მარცხენა მხარეს ადგილის დასაჭერად: ასევე მა-
მა-კაცები, ხოლო მუხლის მოდრეკით იმავე კერპს ხელით მუხლს ეხებიან
და მიდიან მარცხენავე მხარეს, ქალების წინ სდგებიან. მოისმის დაფანაღ-
რის ხმა და მასთან მეფის მოწინავე კაცის ხმა: „მეფე მობძანდეს!“ ყვე-
ლანი მიიპყრობენ იქით თვალსა და, რა დაინახავენ, თავი დახრიან. მეფე
შემოდის თავდახრილი და დაღვრემილი, მას მოსდევს ამაღა; მივა იგი წინა
კიბესთან, შეპლადიდებს, შემდეგ მეფე და გაგელი ავლენ, მაღლა კარებთან
მუხლს მოიდრეკენ, კარგა ხანს ხელებ გაშვებით კარებისაკენ დაღადით
ლოცულობს. მეფე მივა ხელს შეახებს აქეთ-იქით კერპებს და დაეშვება
ძირს, მარჯვენა მხარეს კიბესთან დადგება გვერდით მოუღვება გაგელი,
ხოლო მის უკან—ამაღა, გასწორდება რაკუნი სინისა შემდეგ სამჯერ გაის-
მის ცალ-ცალკე იგივე ხმა, დაიწყება გალობა; გაიღება კარები და გა-
მოჩნდება: არმაზის უკან ცეცხლის ალი, წინა შუაში სდგას მეფარმაზი, მის
აქეთ-იქით; მოასე, და არამ; მოასე სდგას იმავე მხარეს, რომელ მხარესაც
იღვა წინათ იასე, ხოლო მოასეს ადგილას არამ.

2.

იგინივე, მეფარმაზ, მოასე, არამ.

გაიღება კარები, კარგა ხანს გალობის შემდეგ მეფარმაზი ანიშნებს: სამ-
ჯერ გაისმის რაკუნი, გალობა შესწყდება).

მეფარმაზ. დიდება შენდა, ღმერთო არმაზო ქართლოსი-
საო (გალობა; გაისმის რაკუნი. გალობა შესწყდება) დიდება
თქვენდა, ღმერთებო მრავალნი ქართლოსისანიო (გაისმის გა-
ლობა მლოცველები ამ დროს მუხლს იცრიან, გარდა მეფისა.
გაისმის სამჯერ რაკუნი, გალობა შეჩერდება). დიდება შენდა,
ღმერთო არმაზო. მიიღე შექაწირავად სისხლი და მნაშავისა

მოძღვარ ნანასი და განსწმინდე შენის ცეცხლით მი-
სი სული... მოგვაპყარ თვალნი შენნი მხედველნი...

მოასე. (კარებში) მლოცველნი, ჩვენდა ღმერ-
თების თაყვანის მცემელნი! მოძღვარმა ნანამ შელა-
ხა ღმერთთა წესი და კანონი... უარყო, დიდისა
ღმერთის, არმაზის ჩვეულებანი... მოძღვართ სამსჯავ-
რომ დამნაშავეს ცეცხლში დაწვა გადაუწყვიტა,
რათა სული მოძღვრისა განსწმინდილი იქნას, რასაცა
მეფე არ დაეთანხმა...

ხმა. (ყრულ ხალხში) რევექმეფი კეთილია...

მოასე. მაგრამ, მლოცველნი... დიდარს არმა-
ზი... განრისხდა იგი... (ყრუ გუგუნი, შიშის მაგ-
ვარი) და განრისხებულმა თვალნი დახუჭა (გაოცე-
ბული, შიშის მაგვარი გუგუნი, მომეტებულად ქალ-
თა მხრიდან) დიდება არმაზს... მე მან მაღირსა,
სიზრმად მიბძანა: სანამ დამრღვეველს არ შევიწი-
რავ მე ამ თვალებსა არ გავახილავ... და თუ არ
ჰყვეს, სიბნელით მოვცავ აქაურობასა... დღეს
დაუბნელებ ყველასა...

ხმა. (შიშის ზარის გუგუნი ხალხში) დიდება არ-
მაზს...

მოასე. ზ, აი, დღეს ჩვენი დიდი ღმერთი არმაზი,
თვალთ უხილავი, ელის სასჯელსა დამნაშავისა (ყრუ გრგვინ-
ვა ხალხში) და ვევედრნეთ არმაზს განრისხებულსა, რომ მი-
იღოს სული ნანასი და მოიღებდეს ჩვენზე მხედველ თავის
თვალებსა...

მეფარმაზ. დიდება შენდა, არმაზ... მიიღე ნანასი სული...
და მოიღე ჩვენზე მოწყალე თვალი...

3.

იგინივე, ზორვა, ნანა.

გალობა გაისმის; სანამ ზორვა კარებამდე ავა, ყრუ, არა ხშირი სინის რა-
კუნი; მაის მოჰყავს საფეხურამდე, შემდეგ შეაჩვენა ქალებში. ზორვა შეს-
დგება, გადაჰხედავს მეფეს, რომელიც თავ აუღებელია, აქვითინებდა და
თავშემაგრებით ავა საფეხურზე; მივა, კარებთან, მუხლი მოეკვეთება და
მუხლებზე დაცემული ყრუ დაღვრება.

ზორვა. ღმერთო, არმაზო!.. მი-იღენ ჩემი სხეული და
მომიტყვენ თუ ცოდ-ვა არ-ის მი-ის სიყვარუ-ლი (ყრუ ქვი-
თინი ქალებში. ამ დროს: მეფარმაზი, მოასე და არამ ერთ
მხარეს მიდგებიან. შევა, ეამბორება არმაზის მუხლებსა, მივა
უკან ცეცხლის ალთან, ვითა თონიდან, და გასაგონად თავის
ხმით წარმოსთქვავს) ღმერთო არმაზისაო! მიიღე ეს ჩემი სუ-
ლი და იკმარე ჩემით მსხვერპლი... მოეც რევე მეფეს თვალთა
სინათლე ცნობიერებისა, რათა მან იცნოს ყრმა... ჩემი შვი-
ლი... ვანელი აქ ზორვად შემოწირული...

მეფე. ო! ეს ხმა... შეაჩერევი...

მეფარმაზ. (რა იტყვის, უტბად კარები მოიხურება) მი-
იღე სული ნანასი...

4.

იგინივე, იასე, მნათე.

გაგელ. მეფე?—ნუ თუ...
იასე. (ხალხში ქვითინი, მეტადრე ქალებში. გალობა
გაისმის. შემოიჭრება იასე) სცლები მეფარმაზი.. ნანა კი არა,



ს. ყალამშიის სკოლის კურთხევა.

*) იხ. სურათგონი. დამატება № 160.

იგი ზორავა... (მოქანცული დაეცემა პირველ საფეხურზე) ვაჰმე! ზორავა, ზორავა... ვერა, ვერ მოგიწარი... გაიწირევი...

მეფე. (გაშტერებული) ის იყო, ის...

იასე. დიახ, მეფე... ის ზორავა... იგია ვანელი... ვარამთ ასული...

მეფე. იგი, იგი ჩემი გულისა პირველი...

იასე. მეფე... მას, თურმე, ერთი ძალათაგანი უყვარდა... და, რა თავისის სიყვარულითა... ვერა სწვდებოდა... იგი გულში იკლავდა... აი, მეფე, ზნისა და ჩვეულების კანონმდებელი, ჩვენსა ქალებსა რა შესძლებია... ჩვენ-კი მათ, ვითა პირუტყვთა, წესით და ჩვეულებითა პირს უკრავთ თავშალმოსახვევითა... ხომ, გესმით გალობა ყრმათა... ისინი უმანკონი, ვით ანგელოზნი, მათ უგალობებენ, ვის წინაც მათ ყულებს ღაღადებენ...

მეფე. არა, არა! ეგ აღარ, აღარ მოხდება...

იასე. მეფე... აგერ, იმ არმაზისა სწავადგანა მისი მშობლისა სული შენ გვედრება... რა ერთის სული?!.. შეხედე იმათა პირ ახვეულებს... ყრულ ქვითინებენ, გულში იკლავენ... რამდენი მათში აქ ზორავად მშობელნი თავიანთ უმანკო შვილთა სულს ავედრებენ... რომელთა სისხლი კერპ არმაზის წინ დანთხელა... დანთხევა... ნუ თუ გგონია, მეფე, რომ შენი შვილისა ჯერიც არ მოვა?..

მეფე. კმარა!.. არა, აღარა, მე...

გაგელ. (მეფეს გული წაუა, გაგელ მიემგვლება. გაიყვანენ მეფესა) მეფე, რა დაგემართათ... მეფე ცუდად გახდა...

იასე. ცუდად გახდა?! (ხალხში ჩოჩქალი მიმართავს ხალხსა მომხიზლავის ხმითა) ხალხნო!.. ხომ ხედავთ, აი, ჩვენს კეთილს რეგ მეფეს?!.. ვიდრე ქართველნი მას მოიწვევდნენ და მეფეთ მცხეთას დასვავენ თურმე იქ თანაშემწრდილი ქალი უყვარდა... ოხ, სიყვარული რა ნაზია და სპეტაკია... იგი თვით ლომის გაშმაგებულის დამწყნარებელი, დამატკობია... ხალხნო! ნუ ბორკავთ გულსა... გრწამდეთ მოყვრობა ქალისა (ჩოჩქალი ქალებში, გრგვინვა ზოგიერთ მამა-კაცებში) მიეცი თ მას თავისუფლება... გულის და სულისა თანასწორობა (იგივე ხმაურობა) შეხედეთ მათ პირი-სახეს, შებურვილი და აკრული აქვთ, ვით მალლა მწესა ღრუბლიან დღესა (იგივე ხმაურობა; ქალთა მხარეს სიამოვნება) ნუ, ნუ უკრავთ პირსა, ვით პირუტყვებსა... მშობელი დედა, თვით ბუნებითა, განა არ შობავს ქალსა და კაცსა თანასწორად?... დაე, მათ გული თავისუფლად აამოძრან და შიგ ნადულსა, ნუ ჩაიხრჩობენ, გამოსთქვან... და, ვით მეგობარს, ჩვენ მამა-კაცებს გაგვიზიარონ (იგივე ხმაურობა; ხოლო მამა-კაცთა შორის უფრო უკმაყოფილო) მერწმუნეთ, ხალხო, მათი ჩვენდამი თანასწორობა, დღესა ნათელსა, არა თუ დაბნელებს, არამედ ღრუბლებსა მზისაგან განფანტავს, მითი გონების თვალს აგვიხელს და მეგობრობის წმინდა სიყვარულს გულს შთაგვინერგავს...

ხმა. (ხალხიდან) მამა-პაპათაგან ჩვეულებაა...

იასე. მამა-პაპადგან?!.. ჩვენი მამა-პაპანი, გამიგონია: ვარდაცვალეულთ კი არ მარხვიდნენ, არამედ სკამდნენ... მაგრამ დღეს რომ გავიხსენოთ და დაუკვირდეთ გონების თვალთ, სირცხვილით, იმათ მაგიერ, მათი შვილები დავიწვიოთ...

ხმა. (ხალხიდან) ეს ტყუილია... მოგონილია...

იასე. წარსულით ასე სწერია... თვით დიდმა აღექსანდრე მაკედონელმა ეს აღგვიგრაძალა, როს მან ბრძოლითა აქ შემოიქრა და ქართლოსები ძალით დაიპყრო...

5.

იგინივე, მეფარმაზ, მოასე, არამ, ზადე.

მეფარმაზ. (სამჯერ სინის რაკუნის შემდეგ, გალობა შესწყდება, კარებიც გაიღება) ჩვენდა ღმერთების მონაწილეობა ღმერთთა არმაზმა დამნაშავეისა სული მიიღო და მით შეიწირა... იხარებდეთ, მან თავისი მოწყალე მხედველი თვალი ჩვენკენ მოიღო...

იასე. (ხალხში სიხარულის გრგვინვა გაისმის) სტყუი, მეფარმაზ!.. არმაზსა თვალი შენ დაუბრმავე და შენვე თვით აუხილე...

მეფარმაზ. (ხალხში გმინვა) იასე ღმერთთა მტერია...

მოასე. ხალხნო! მტერია, მტერია...

ხმა. (ხალხიდან უკმაყოფილება) იასე, ღმერთთა მტერია, მტერია...

იასე. ხმა!..

მნათე. ხალხო! იასე ქეშმარიტებას ღაღადებს...

იასე. მე მტერი ვარ არა ღმერთისა... არამედ თვით კერპებისა... (ხალხში მისწყდება გუგუნნი) იმ კერპთა, რომლებიც შენისა პირთ და მოქმედებით მონობას, აი, ამ ხალხში სთესვენ... იმა კერპებთა მოძღვრებისა, რომელნიც ბნელის ბურუსით ხალხის გონებას ახშობენ და მით მონობის უღელს ადგავენ... ნუ თუ შენ, მოძღვართ მთავარო, გგონია: იმ შენის კერპ არმაზისა თვალნი თვით ნივთისანი, მეტად ანათებდნენ, ვიდრე, აი, იმ მაცხოვარ მზისა სხივები?.. სცდები, შე კერპთა მამა მთავარო!.. მოვა დრო, როცა თვით, აი, ეს ხალხი მაგ რკინის კერპსა დაამსხვრევს და ზედ კაცობრიობის ქეშმარიტებას აღადგენს...

მოასე. ჰოი, ხალხო, განშორდით ამას... თვით ჩვენ ძლიერ ღმერთს არმაზს კერპსა უწოდებს... განშორდით, რომ იგი ღმერთი არმაზი კვლავ არ გაგვირისხდეს...

ხმა ხალხისა. მტერია, მტერი ჩვენი ღმერთისა...

იასე. ფარისევლო! დაბრმავებულო!.. ნუ თუ ვერ ხედავ: მზისა სინათლეს?.. გასწი, არმაზსა აუკარ თვალი... რომ მით ხალხმა აიხილოს გონების თვალი...

მეფარმაზ. ხალხო, სიკვდილი მტერსა...

ხმა ხალხისა. (ზოგი წამოიწევს იასესაკენ) ღმერთების მტერსა სიკვდილი... სიკვდილი...

მნათე. ხალხო! იასე, მოძღვარი ჩვენი, ქეშმარიტებას ქადაგებს...

იასე. (მალლა ასვლით ხალხსა) ხმა!.. ხალხო, თქვენ გატყუებენ... მოძღვარ ნანაზე სიკვდილით დასჯა კეთილი მეფე-რად არ დასთანხმდა, მეფარმაზისა წინად განძრახვით და დარიგებით, მოასემ არმაზს თვალებზე თიხა წაჭლისა...

მოასე. შენ სტყუი...

მაია. არა!.. ქეშმარიტად იასე მართალია...

მეფარმაზ. (გაბოროტებული შევარდება და, რა იასე მალლა აიჭრება, გავარდება) სტყუის... მას არა სწამს ჩვენი ღმერთები...

იასე. (უკვე კარებთან) დიახ, არა მრწამს თქვენი კერპები... ხალხნო!.. (ჩამოაგორებს ზადენს და ეფროს) ესენი ხომ თქვენივე ნაკეთებია... თქვენივე გაღმერთებულ...

მეფარმაზ. (მეორე მხრიდან მოვლილი ძირს უძღვება ხალხსა) ჩვენი ღმერთების უპატივობა... ხალხნო!.. სიკვდილი იასეს...

მოასე. (იქიდანვე უთითებს ხალხს) ხალხო თვით ჩვენი ღმერთები შელახა... სიკვდილი... (ხმა ხალხთა შორის. ხალხი თანდათან შმაგდება. მისდევს მეფარმაზს და მოასესა) სიკვდილი!.. სიკვდილი!..

იასე. ხმა!.. (ხელსა ჰკრავს არმაზს, დაეცემა, მოვარდება თავი, გვირგვინი ცალკე ჩამოგორდება. აიღებს თავსა და ძირს კიბეზე ჩამოაგორებს) აი, ეს ის კერპია, რომელიც თქვენ შიშის ზარსა გცემთ... (ამ დროს მოეპარება უკანიდანა ზადე და მახვილს ჩასცემს ზურგში) ოხ, ბოროტო სულო... მაგრამ, არა... მე ეს მერჩივნა...

ხმა ხალხში. იასე ქრისტიანია...

იასე. (წამოხტება) დიახ, მე ქრისტიანი ვარ... მოვა დრო, მისი ქეშმარიტება აქაც დამყარდება...

6.

იგინივე, ნანა.

ნანა. იასე, ჩემო მზის სხივო...

იასე. (უკვე მუხლები ეკვეთება) ნანა...

ნანა. (გაარღვევს კიბეზე ხალხსა და მივარდება იასესა) იასე!..

მეფარმაზ. (ჩუმად) ეს ხომ ნანაა... ხალხო! ჩაქოლეთ... ეგ მისი საყვარელია, ჩვენი ტაძარის წამპილწავია...

მოასე. ჩაქოლეთ, ჩაქოლეთ...

ნანა. (ზურგიდან იასეს ამოუღებს მახვილს) მე ნანა... დიახ მიყვარდა მე ეს იასე, ვითა მზის სხივი... მან მე მომგინა გონების სხივი... (დანას ჩაიკვამს გულში) იასე, მეც შენთანა ვარ... ხალხო! უარყავთ კერპნი... განდევნეთ კერპნი... გიყვარდეთ, გრწამდეთ: სიყვარული და თანასწორობა, აი, ეს არის აღამიანობა.

ფ ა რ დ ა.

ს. გლახაშვილი.

რ რ